ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №8

ქ. ლანჩხუთი

20.10.2022.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, ვლადიმერ ნანაძე და ჯუმბერ ბლაგიძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

2. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ წინა კომისიის სხდომაზე განხილული იქნა ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების გარკვეული ნაწილი, რომელზეც კომისიამ დადებითი გადაწყვეტილება მიიღო. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათს დაემატა კიდევ რამდენიმე ცვლილება, რომელზეც ზოგადად ისაუბრა სხდომის თავმჯდომარემ.

როლანდ ლაშხიამ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამის დაფინანსება უნდა გაიზარდოს 169728,14 ლარით.

მან ასევე აღნიშნა, რომ მოთხოვნის განხილვის შედეგად ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის დაფინანსება მიზანშეწონილია გაიზარდოს 11872 ლარით, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 24640 ლარით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება გაიზარდოს 50000 ლარით. ასევე სარეზერვო ფონდი გაიზარდოს 10000 ლარით, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამა გაიზარდოს 90000 ლარით, მოსწავლეთა ტრანსპორტირება გაიზარდოს 5000 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა გაიზარდოს 10000 ლარით, ამასთან ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების პროგრამა გაიზარდოს 13000 ლარით, ბიოკარბონატული ჰემოდიალეზით თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯის 8000 ლარით და მედიკამენტის შეძენაზე დახმარების პროგრამის 5000 ლარით შემცირების ხარჯზე. სპორტის

ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების 2000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 2000 ლარით. ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით გაიზარდოს სანებართვო მოსაკრებელი 10500 ლარით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 150000 ლარით, ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით ნაშთიდან მიიმართოს 70092 ლარი. ანალიზის შედეგად მომსახურების გაწევიდან შემოსავლები უნდა შემცირდეს 30000 ლარით.

ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლში თანხა მთლიანად ამოწურულია მოხდეს აღნიშნულ მუხლში 5000 ლარის დამატება, რასაც დაეთანხმნენ დეპუტატები.

ია მოქიამ დასვა შეკითხვა იმის თაობაზე, თუ რისგან იყო გამოწვეული ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინასების გაზრდა, რაზეც ალექსანდრე მახათაძემ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ სექტემბრის თვეში კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებული ხუხუნაიშვილების სახელობის სიმღერა-გალობის სკოლის აღსაზრდელები გაემგზავრნენ ჩეხეთში გამართულ ფესტივალზე „სულიკო", წარმოდგენილი 50 000 ლარიდან 15 000 მიიმართება აღნიშნულის დასაფინანსებლად, ხოლო დარჩენილი თანხა მიიმართება სახელფასო ფონდში, ვინაიდან ა(ა)იპში მოხდა ხელფასების ზრდა.

ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ სოფელ სუფსაში, უნაგირას უბანში აუცილებელია გაკეთდეს ბეტონის სანიაღვრე არხი, ვინაიდან ყოველი წვიმის დროს არხი წყალს ვერ ატარებს, გადმოდის წყალი და იტბორება მოსახლეობის როგორც ეზოები, ასევე საცხოვრებელი სახლები. **ია მოქიამ** გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე სოფლის პროგრამით მოხდება სანიაღვრე არხის გაწმენდა, სამომავლოდ კი, მიმდინარეობს მსჯელობა იმაზე, რომ მოხდეს ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხვადასხვა

- **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სოფელ გრიგოლეთში ფოთი-ბათუმი-ლანჩხუთის გზაგასაყარზე, ლანჩხუთის მიმართულებით აუცილებელია მოსაცდელის მოწყობა. ასევე ფოთის მიმართულებით, მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორიაზე არის გარკვეული ხარვეზები, რომელიც ყურადღებამისაქცევია.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ქ. ლანჩხუთი

20.10.2022 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №8

2022 წლის 20 ოქტომბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

20.10.2022 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	10 55	
2	ია მოქია	10:55	
3	გიორგი ჩახვაძე	არ ესწრებოდა	
4	სპარტაკ კვაჭაძე	10.54	
5	კახა თედორაძე	არ ესწრებოდა	
6	ვლადიმერ ნანაძე	10 50	
7	გიორგი გოგუაძე	არ ესწრებოდა	
8	ჯუმბერ ბლაგიძე	11 00	